საქართველოს მთავრობასა და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების

ოქმი

საქართველოს მთავრობასა და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის დროს ხელმომწერნი შეთანხმდნენ, რომ შემდეგი დებულებები წარმოადგენენ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს:

1. მე-2 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში:

ტერმინი "პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფები" საქართველოს შემთხვევაში ნიშნავს "ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს."

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის e) ქვეპუნქტთან მიმართებაში:

ტერმინი "კომპანია" საქართველოს შემთხვევაში ნიშნავს საწარმოს ან ნებისმიერ წარმონაქმნს, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

3. მე-10, მე-11 და მე-12 მუხლების დებულებები არ გამოიყენება, თუ ნებისმიერი პირის მიერ აქციების ან სხვა უფლებების, რომელთა საფუძველზე გაიცემა დივიდენდები, ემისიის ან გადაცემის; სავალე ვალდებულების, რომლის საფუძველზე ხდება პროცენტის გადახდა, შექმნის ან გადაცემის; უფლების, რომლის საფუძველზე ხდება როიალტის გადახდა, შექმნის ან გადაცემის ძირითადი მიზანი ან ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ამ მუხლებით გათვალისწინებული სარგებლის მიღება ამგვარი ემისიის, შექმნის ან გადაცემის საშუალებით.

4. მე-14 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში:

ფიქსირებული ბაზა შექმნილად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ფიზიკური პირი დარეგისტრირდება დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის მიზნით.

5. 28-ე მუხლთან მიმართებაში:

ხელშემკვრელ სახელმწიფოს გააჩნია უფლება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს დიპლომატიური მისიებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ დაქირავებულ მის მოქალაქეებს დააკისროს გადასახადები, ამ შეთანხმების მე-19 მუხლის შესაბამისად.

რის დასტურადაც, ამ ოქმს ხელი მოაწერეს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა.

შედგენილია 2007 წლის 15 ოქტომბერს ქ. ლუქსემბურგში ორ პირად, ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან სამივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

საქართველოს მთავრობის
სახელით საგარეო საქმეთა
მინისტრი
გელა ბეჟუაშვილი

ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს
მთავრობის სახელით საგარეო
საქმეთა და იმიგრაციის მინისტრი
ჟან ასელბორნი